დაიჯესტი

11-17 თებერვალი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

10 თებერვალს აშშ-ს აფრიკის სარდლობამ განაცხადა, რომ მათ სომალის შორეულ რაიონში, ქვეყნის ფედერალური მთავრობისა და არმიის მხარდასაჭერად, 12 ალ-შაბაბის მებრძოლი მოკლეს. 12 თებერვალს AFRICOM-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ შემთხვევის შედეგად მშვიდობიანი მოქალაქეები არ დაშავებულა ან დაღუპულან, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ თავდასხმის შორეულ ადგილს, სომალის დედაქალაქ მოგადიშოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 472 კილომეტრში.

დიდი ბრიტანეთი

"მთავარ პროპაგანდისტს" კურტ მაკგოუანს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მას შემდეგ, რაც 7 ტერორისტული დანაშაული აღიარა. ტერორისტული ქსელი Telegram-ს აპლიკაციის მიმოწერებში მას მოიხსენიებდნენ, როგორც "ჩვენს საკუთარს გებელსს", რაც ნაცისტ ჯოზეფ გებელსთან არის დაკავშირებული.

საფრანგეთი

12 თებერვალს ირანის მმართველი ხელისუფლების ათასობით მოწინააღმდეგე პარიზის ქუჩებში გამოვიდა, რათა ზეწოლა მოახდინოს ევროკავშირის ქვეყნებზე და ირანელი აქტივისტების დარბევის საპასუხოდ ირანის რევოლუციური გვარდია (IRGC) ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანონ. ირანის ხელისუფლება სექტემბრიდან მონაწილეობდა დემონსტრანტების ძალადობრივ დარბევაში, მათ შორის სიკვდილით დასჯის განხორციელებაში. მათ აგრეთვე ათობით ევროპელი მოქალაქე დააკვეს.

გერმანია

10 თებერვალს დუსელდორფის სასამართლოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოზარდს გერმანიაში ორწლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს სკოლაზე სასიკვდილო თავდასხმის დაგეგმვისთვის, რომელშიც ის სწავლობდა. 17 წლის ახალგაზრდა დამნაშავედ ცნეს სახელმწიფოს საფრთხის შემცველი მძიმე ძალადობრივი აქტის დაგეგმვაში. გერმანელმა პროკურორებმა ადრე

განაცხადეს, რომ მოზარდმა, სახელად ჯერემი რ., დაგეგმა „მემარჯვენე ექსტრემისტების მოტივირებული თავდასხმა“ 2022 წლის 13 მაისისთვის.

თურქეთი

ქურთისტანის მუშათა პარტიის მებრძოლებმა გამოაცხადეს ბრძოლის დროებითი შეწყვეტის შესახებ, რათა მასიური მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზიანის გამოსწორება გამარტივდეს. მიწისძვრის შედეგად ყველაზე მეტად სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთი და სირიის ჩრდილოთ ნაწილი დაზარალდა. ქურთისტანის მუშათა პარტია (PKK) ანკარამ და მისმა დასავლელმა მოკავშირეებმა ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადეს იმ სასტიკი აჯანყების გამო, რომელსაც 1984 წლიდან ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ისრაელი

16 თებერვალს ისრაელის თავდაცვის ძალებმა დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე დააკავეს 16 პალესტინელი ტერორიზმის ბრალდებით. აღნიშნულ რეიდამდე, ელ-ბირეჰის უბანში პალესტინელები ქვებს უშენდნენ ისრაელის თავდაცვის ძალების წარმომადგენლებს, რასაც მოჰყვა მათი დაკავება.

სირია

დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული სირიის ადამიანის უფლებათა ობსერვატორიამ (SOHR) განაცხადა, რომ დაეშის მებრძოლები თავს დაესხნენ 75 კაციან ჯგუფს, რომლებიც პალმირასთან ახლოს სოკოს კრეფდნენ. სირიის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო SANA იტყობინება დაღუპულთა რიცხვი 4-ს არ აღემატება. თავდასხმა განხორციელდა ჩრდილოეთ სირიის იმ ნაწილებიდან მოშორებით, რომლებსაც 6 თებერვლის მომაკვდინებელი მიწისძვრას მძიმედ შეეხო.

ალ კაიდასთან აფილირებული სირიელი მეამბოხე ლიდერი მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ სირიაში ამბოხებულთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს მიწისძვრით მიყენებული ზიანთან გამკლავებაში დაეხმარონ. Guardian-ის ცნობით, მეამბოხეების ლიდერმა, რომელიც იდენტიფიცირებულია, როგორც აჰმედ ჰუსეინ ალ-შარამი, მიწისძვრით

დაზარალებული ჩრდილო-დასავლეთ პროვინციის მოსახლეობისთვის საერთაშორისო დახმარება ითხოვა.

15 თებერვალს გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ს ძალებმა ჩრდილოაღმოსავლეთ სირიაში ჩამოაგდეს ირანში დამზადებული დრონი. აღნიშნულ ტერიტორიაზე, სადაც ბაზირებული იყო აშშ-ს სამხედრო ძალები, დრონის გადაფრენაზე პასუხისმგებლობა არცერთ მხარეს არ აუღია.

სირიისა და აშშ-ს სამხედრო ძალებმა ერთობლივად ჩაატარეს ოპერაცია და მოკლედ დაეშის ლიდერი, რომელიც აორგანიზებდა ციხიდან გაქცევის მასობრივ შემთხვევებს. ტერიტორიაზე, სადაც მოკლედ აღნიშნული პიროვნება, აღმოჩენილია დიდი რაოდენობის იარაღი და სუიციდური ქამრები. სირიისა და აშშ-ს ოფიციალური წარმომადგენლები არ ასახელებენ ოპერაციის ზუსტ ლოკაციას.

ერაყი

12 თებერვალს ერაყის უშიშროების ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაეშის შვიდი ტერორისტი, მათ შორის ე.წ. დიალას ვალი (დიალას გუბერნატორი), დიალას ოლქზე საჰაერო თავდასხმების შედეგად. ერაყის აღმოსავლეთში იქნა მოკლული. ერაყის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სპიკერმა, იაჰია რასულმა განცხადებაში აღნიშნა, რომ ერაყის შეიარაღებული ძალები ISIS-თან დაახლოებული ტერორისტების დევნას აგრძელებს.

ირანი

ამერიკის ხმის ინფორმაციით, ალ-კაიდამ გასულ წელს ალ-ზავაჰირის მკვლელობის შემდეგ აირჩია ახალი ლიდერი, რომელიც იმყოფება ირანში, სადაც უკანასკნელ წლებში ალ-კაიდას მასშტაბები სულ უფრო იზრდება. გაეროს ანგარიშის მიხედვით, დაზვერვის სამსახურებმა დაადგინეს, რომ საიფ ალ-ადელი ამჟამად ალ-კაიდას დე ფაქტო ლიდერია. საიფ ალ-ადელის ოფიციალური გამოცხადება ორგანიზაციის ლიდერად პრობლემურია, რადგან ამით დასტურდება ალ-ზავაჰირის ქაბულში მოკვლის ფაქტი, რაც ავღანეთის თალიბანისთვის არასასურველია.

კონგო

გაეროს მისიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით ადგილობრივ აჯანყებულებთან შეტაკებებს ემსხვერპლა მინიმუმ 32 ადამიანის სიცოცხლე აღმოსავლეთ კონგოში, იტურის პროვინციაში. 20 სამოქალაქო გარდაიცვალა სამხედრო დაჯგუფება CODECO-სთან შეტაკებებისას, ხოლო 12 მათგანი მოკლულია გაერთიანებული დემოკრატიული ძალების მებრძოლების მიერ.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

12 და 13 თებერვალს ადგილობრივი მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა და ადამიანის უფლებათა ჯგუფმა განაცხადეს, რომ რეგიონში მიმდინარე ძალადობისას მილიციელების მიერ განხორციელებული ორი ცალკეული თავდასხმის შედეგად კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის (DRC) იტურიის პროვინციაში 22 ადამიანი დაიღუპა. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 2021 წელს იტურისა და მეზობელ ჩრდილოეთ კივუს პროვინციაში სისხლისღვრის ჩასახშობად საომარი მდგომარეობა გამოაცხადა, მაგრამ სასიკვდილო რეიდები კვლავაც გრძელდება.

ავღანეთი

17 თებერვალს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისლამური სახელმწიფოს ხორასანის პროვინცია ავრცელებს მუქარას მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ პაკისტანის საელჩოს წინააღმდეგ ქაბულში. აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია პაკისტანს „კიბო-სახელმწიფოდ“ და აშშ-ს მოკავშირედ მოიხსენიებს.

პაკისტანი

პაკისტანის უშიშროების სამსახურისა და CIA-ის ერთობლივი ოპერაციის შედეგად ჩრდილოეთ ნაზიმაბადის ტერიტორიაზე დააკავეს ორი ტერორისტი, რომელთაც საკუთრებაში ჰქონდათ ასაფეთქებელი მოწყობილობები. ტერორისტების სამალავში უშიშროების ძალებმა ასევე აღმოაჩინეს დაახლოებით 1000 დეტონატორი, რაც სავარაუდოდ დაგეგმილ მასშტაბურ ტერორისტულ აქტზე მიუთითებს.

17 თებერვალს გავრცელებული ინფორმაციით, პაკისტანის ბალოხთა სამხედრო ჯგუფმა იერიში მიიტანა პაკისტანის სარკინიგზო სისტემაზე და ააფეთქა სამოქალაქო დანიშნულების მატარებელი. აღნიშნულ ტერორისტულ თავდასხმას შეეწირა ერთი ქალის სიცოცხლე და დაიჭრა რამდენიმე ადამიანი.

ინდოეთი

10 თებერვალს დელის სასამართლომ გაასამართლა ალ-კაიდას 4 მოქმედი წევრი ინდოეთის სუბკონტინენტზე (AQIS) ქვეყნის მასშტაბით ტერორისტული აქტების ჩადენისა და ტერორისტული ჯგუფისთვის წევრების რეკრუტირებისთვის. მსჯავრდებულები, იდენტიფიცირებულნი, როგორც მოჰდ ასიფი, მოჰდ აბდულ რეჰმანი, ზაფარ მასუდი და აბდულ სემი, უკანონო ქმედებების პრევენციის მკაცრი კანონის მე-18 და 18ბ პუნქტების შესაბამისად გაასამართლეს.

15 თებერვალს გავრცელდა ინფორმაცია, რომ დელის სასამართლომ 4 ადამიანს მიუსაჯა 7.5 წლით თავისუფლების აღკვეთა ალ-კაიდასთან კავშირის გამო. გამოძიებიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთ დაკავებულიი უძღვებოდა მადრასა, რომელსაც ის იყენებდა ტერორისტული მიზნების განსახორციელებლად და მუსლიმ მოსწავლეებს შორის აღვივებდა რელიგიურ ექსტრემიზმს.